დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 8 ივნისი**

დისციპლინური საქმე №90/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 8 მაისის №90 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 10 მაისის №307/90-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

მოსამართლემ მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების გათვალისწინებით და მოსარჩელისა და მესამე პირის ინტერესების გაუთვალისწინებლად განიხილა შუამდგომლობები და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2023 წლის 13 მარტს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის -- წლის -- №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილ იქნეს დასაშვებად; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა -- --.

2023 წლის 4 აპრილს, მოპასუხის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის -- წლის -- - №-- გადაწყვეტილების მოქმედების ავტომატურად შეჩერების გაუქმება. შუამდგომლობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

-- -- სასამართლოს 2023 წლის 6 აპრილის განჩინებით მოპასუხის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის განჩინება გაასაჩივრა -- -- და მოითხოვა მისი გაუქმება.

2023 წლის 13 აპრილს, მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია, ასევე, ადმინისტრაციული საქმე №--, სადაც მოსარჩელეა -- --, მოპასუხე - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის -- წლის -- №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

-- -- სასამართლოს 2023 წლის 19 აპრილის განჩინებით ერთ წარმოებად, ერთად განხილვისათვის გაერთიანდა ადმინისტრაციული საქმეები №-- და №--; გაერთიანებულ საქმეს მიენიჭა №--.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად; კერძო საჩივარი განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე 2023 წლის 26 ივნისს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2023 წლის 13 აპრილს, მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია, ასევე, ადმინისტრაციული საქმე №--, სადაც მოსარჩელეა -- --, მოპასუხე - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის -- წლის -- №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

-- -- სასამართლოს 2023 წლის 6 აპრილის განჩინებით მოპასუხის - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სასამართლო მიუთითებდა, რომ განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს არ უმსჯელია სადავო აქტის მოქმედების შეჩერების საკითხზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის რომელიმე ნაწილთან მიმართებით, შესაბამისად, მოპასუხის მოთხოვნა, სასამართლომ აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის განმარტების შესახებ, ამ ეტაპზე, დავის არარსებობის პირობებში სცილდებოდა სასამართლოს კომპეტენციას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წამოჭრილი პრობლემური საკითხების (მოცემული დავის დასრულებამდე კომპანიის მიერ კანდიდატის წარდგენის საკითხი) სწორად და ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით, ნორმათა განმარტება სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენდა.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მოთხოვნა თავისი შინაარსით წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

შეწყდეს, -- -- 2023 წლის 8 მაისის №90 საჩივარზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი